ხელშეკრულება №73

(სახელმწიფო შესყიდვებისშესახებ)

ქ. თბილისი

12 იანვარი 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი") გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის სახით და მეორეს მხრივ „აიპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორი რემა ღვამიჩავას სახით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას „ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების" (CPV 85100000) შესყიდვაზე SMP160003707 .

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „კიბოს სკრინინგის" კომპონენტის მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - 224332 (ორასოცდათოთხმეტი სამასოცდათორმეტი) ლარს.

2.2 ერთი თვის მომსახურების ღირებულებაა 112166(ასთორმეტიათას ასსამოცდაექვსი) ლარი.

3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1 „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.
3.2 "2017 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" 2016 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #638 დადგენილება მუხლი 2 (შემდგომში – „დადგენილება").
3.3 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.
3.4 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება.
3.5 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი" კიბოს სკრინინგის კომპონენტი.

4. ხელშეკრულების ობიექტი

4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის" პროგრამის „კიბოს სკრინინგის" კომპონენტის ფარგლებში კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება ქვეყნის მასშტაბით (გარდა თბილისისა), რომელიც მოიცავს:
ა) ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-70 წლის ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის სკრინინგს 25-60 წლის ასაკის ქალებში, მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგს 50-70 წლის ორივე სქესისათვის;
ბ) პროსტატის კიბოს მართვს 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში;
მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს

4.1.1 ძუძუს კიბოს სკრინინგი - 40–70 წლის ასაკის ქალებში (ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა - 4330, ერთეულის ღირებულება -23 ლარი), რომელიც მოიცავს:

ა) მამოლოგის გასინჯვას;

ბ) მამოგრაფიულ გამოკვლევას (2 რადიოლოგის მიერ წაკითხვით);

გ) ექოსკოპიურ გამოკვლევას საჭიროების დადასტურების შემთხვევაში;

4.1.2. საშვილოსნოს ყელის სკრინინგი - 25–60 წლის ასაკის ქალებში (ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა -5320 , ერთეულის ღირებულება -18 ლარი), **რომელიც მოიცავს:**

ა) გინეკოლოგის გასინჯვას;

ბ) პაპ–ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეთესდას მეთოდზე დაყრდნობით;

4.1.3. საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი - 25–60 წლის ასაკის ქალებში (ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა - 502, ერთეულის ღირებულება -15 ლარი), რომელიც მოიცავს:

ა) კოლპოსკოპიის ჩატარებას;

4.1.4. საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი მორფოლოგიით - 25–60 წლის ასაკის ქალებში (ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა 36 , ერთეულის ღირებულება -26 ლარი), რომელიც მოიცავს:

ა) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში კოლპოსკოპიის ჩატარების შემდეგ აღებული ბიოფსიური მასალის

მორფოლოგიურ გამოკვლევას.

4.1.5. **კოლორექტული კიბოს სკრინინგი** - 50–70 წლის ორივე სქესისათვის (მენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა- **1100**, ერთეულის ღირებულება -**6 ლარი**), რომელიც მოიცავს:

ა) ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის ჩატარებას;

4.1.6. **კოლონოსკოპიური სკრინინგი** - 50–70 წლის ორივე სქესისათვის (მენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა - **60**, ერთეულის ღირებულება -**57 ლარი**), რომელიც მოიცავს:

ა) კოლონოსკოპიის ჩატარებას;

4.1.7. **კოლონოსკოპიური სკრინინგი მორფოლოგიით** - 50–70 წლის ორივე სქესისათვის (მენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა - **16**, ერთეულის ღირებულება -**26 ლარი**), რომელიც მოიცავს:

ა) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში კოლონოსკოპიის ჩატარების შემდეგ აღებული ბიოფსიური მასალის მორფოლოგიურ გამოკვლევას.

4.1.8. **პროსტატის კიბოს** მართვა პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით - 50–70 წლის ასაკის მამაკაცებში (მენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა - **არაუმეტესს 1120**, ერთეულის ღირებულება -**9 ლარი**), რომელიც მოიცავს:

ა) სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის გამოკვლევას ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართვით;

4.1.9. საპროგნოზო რაოდენობების ზემოთ გაწეული მომსახურებები ექვემდებარება ანაზღაურებას მხოლოდ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ფარგლებში.

4.1.10. მომსახურების მაქსიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა (რეგიონული/რაიონული სამედიცინო დაწესებულებებისა და მობილური ჯგუფების მეშვეობით);

4.1.11. განახორციელოს ძუძუს კიბოს პირველადი სკრინინგი და კოლორექტალური კიბოს სკრინინგი არა უმეტეს ორ კალენდარულ წელიწადში ერთხელ, საშვილოსნის ყელის კიბოს პირველადი სკრინინგი - სამ კალენდარულ წელიწადში ერთხელ, პროსტატის კიბოს სკრინინგი - კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, ხოლო მეორადი სკრინინგი სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელდეს სპეციალისტის დანიშნულების შესაბამისად;

4.1.12. უზრუნველყოს პროგრამული სერვისებით მოსარგებლეთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა და ასევე, ეპიდემიოლოგიური ანალიზის განხორციელების მიზნით, კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით გამოვლენილი პათოლოგიების მონაცემთა ბაზის შექმნა.

4.1.13. უზრუნველყოს სკრინინგის შედეგების სტატისტიკური ანალიზი და შედეგების წარმოდგენა ეპიდემიოლოგიური ანალიზის სახით;

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.2. „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 "მომსახურების" გაწევის ვადაა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

6.2 „მომსახურების" მიწოდების ადგილი საქართველოს ტერიტორია (თბილისის გარდა), გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ადგილი - თბილისი, მ. ასათიანის ქ. #9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.4 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ფორმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით შემსყიდველის ინდივიდუალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია, რომელიც განთავსებულია/განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

6.5 „მომსახურების" ანგარიშგება ხორციელდება დადგენილების მე-9 მუხლით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშგებო გაწეული „მომსახურების" შესახებ, ხელშეკრულების „6.4" და „6.5" პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.2 „მიმწოდებელი" „შემსყიდველის" მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია წარმოადგინოს სრული წერილობითი ინფორმაცია „მომსახურების" მიმდინარეობის შესახებ.

7.3 „მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს".

7.4 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს" მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.

7.5 „შემსყიდველისა" და „მიმწოდებელს" შორის მომსახურეობის შესრულებაზე ყოველთვიურად განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეძლევა მიმწოდებელს.

7.6 „შემსყიდველი" ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის" სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

7.7. მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ლია მგალობლიშვილს და ნინო ჯვარელიას, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებლებს.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3 ანაზღაურება განხორციელდება მე-2, მე-4, მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის და მომსახურების ერთეულის ღირებულების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორენა მოხდება საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.1.1. აცნობის „მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას.

9.2.2 აცნობოს „შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

9.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

9.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.

9.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს ან მომსახურება გაუწია დაგვიანებით (მისგან

დამოუკიდებელი მიზეზების გარდა), ან არასრულად, ან უხარისხოდ „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გასაწევი/გაწეული „მომსახურების" ღირებულების სამმაგი ოდენობით;

10.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" უარს განაცხადებს ხელშეკრულების შესრულებაზე (მ.შ. შემსყიდველისათვის 2 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გარეშე სახელმწიფო პროგრამიდან გასვლის შემთხვევაში) იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების სამმაგი ოდენობით.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. „შემსყიდველს" შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.7.1. თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება";

10.7.2. თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში;

10.7.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.7.4. თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.7.5. „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

10.8.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.9 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელსაც ცნობენ მხარეები.

11.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა თანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვაროონ მოლაპარაკების წესით.

12.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

13. გამოსაყენებელი სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

16.1. მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

16.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

16.3. „მიმწოდებელის" პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი „მომსახურების" ფარგლებში, არამედ „შემსყიდველისათვის" იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2. „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

18.1. „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების" მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

18.1.1. უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების მესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების" პერიოდს (ან „მომსახურების" დასრულებულ ციკლს).

18.1.2. არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების" ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

18.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

19.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

19.3. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის და მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

20. ხელშეკრულები უზრუნველყოფის გარანტია

20 . ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია

20.1. „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია - ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით აღემატება „მომსახურების" განხორციელების ვადას.

20.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტია „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

20.3. „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევა გამოიწვევს გარანტიის ან დაზღვევის მთელი ოდენობით დაკავებას და „მიმწოდებლისათვის" დაუბრუნებლობას.

20.4 „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და ამის შესახებ, „მიმწოდებლის" მიერ საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, გარანტიის გამცემი ბანკის/სადაზღვევო კომპანიის ინფორმირება წარმოადგენს ძირითად საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის/სადაზღვევო კომპანიის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის „შემსყიდველის" ანგარიშზე გადარიცხვისათვის.

20.5 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს მას გარანტია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას.

21. დამატებითი პირობები

20.1 ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან".

20.2 ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე ვრცელდება აგრეთვე დადგენილებით გათვალისწინებული პირობები.

22. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"
მ.ასათიანის ქ. #9
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24NB033011002001650 22

„მიმწოდებელი"

სსიპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი"
მის: თბილისი, წერეთლის გამზირი#69
ტელ:2 20 35 35
ელ-ფოსტა:region@gnsc.ge
ს/კ 202442730
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
შემოსავლის სახაზინო კოდი 743147499
ანგარიშის # GE24NB033011002001650 22

გენერალური დირექტორი:
[illegible]

ბ. ა.

დირექტორი
რემა ღვამიჩავა

ბ. ა.